სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/1401; 02.13.2023 წერილში მოცემულ შენიშვნებზე რეაგირების ცხრილი

| N | კომენტარი | პასუხი |
|---|---|---|
| 1. | ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში (ქვეთავი 4.1), ასევე გზშ-ის ანგარიშში მოცემული გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ს.კ. 21.03.33.494 საჭიროებს კორექტირებას/დაზუსტებას; | როგორც გზშ-ის ანგარიშის მე-7 დანართშია წარმოდგენილი, 2022 წლის 10 ოქტომბერს, გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან შეთანხმება მიღებული იქნა მიწის ნაკვეთის ნაწილზე, რომლის საკადასტრო კოდია: N21.03.33.494. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, კერძოდ 2022 წლის დეკემბერში, განხორციელდა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნა 4 ნაკვეთად, რომელთა საკადასტრო კოდებია: N21.03.33.498; N21.03.33.499; N21.03.33.500 და N21.03.33.501. აღნიშნული ნაკვეთებიდან. საპროექტო გამწმენდი ნაგებობისთვის გამოიყენება ნაკვეთი, რომლის საკადასტრო **კოდია: N21.03.33.501.**<br><br>გზშ-ს ანგარიშში და ზდჩ ნორმების პროექტში შეტანილი იქნა შესაბამისი შესწორება. |
| 2. | დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს ინფორმაცია წყალჩაშვების წერტილის კოორდინატების შესახებ, კერძოდ: გზშ-ის ანგარიშში წყალჩაშვების კოორდინატია X–744948; Y–4609478; ხოლო არატექნიკური რეზიუმეს ქვეთავში 2.1 X-744914; Y-4609491; | არატექნიკურ რეზიუმეში შეტანილი იქნა შესაბამისი შესწორება. წყალჩაშვების კოორდინატია X–744948; Y–4609478. |
| 3. | ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი დანართი 4 (საკადასტრო გეგმა) და დანართი 5 (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშის მიხედვით განსახილველ საპროექტო ტერიტორიის მონაცემებს, რაც საჭიროებს კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. ზდგ-ს ნორმების პროექტში შეცვლილი იქნა საკადასტრო გეგმა და საჯარო რეესტრის ამონაწერი. |
| 4. | წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის შემადგენელი ძირითადი კომპონენტები განლაგდება დახურულ შენობაში, გარდა სალამე მოედნებისა და სატუმბი სადგურისა. ხოლო, ლამის გაუწყლოება და სტაბილიზაცია მოხდება სალამე მოედნებზე. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშის 3.7.1 ქვეთავში მოცემული ჩანაწერი „დახურულ შენობაში იქნება განთავსებული დასტაბილიზირებული ლამიც“ საჭიროებს დაზუსტებას; | როგორც გზშ-ის ანგარიშშია მოცემული, სალამე მოედნები არ იქნება განთავსებული დახურულ შენობაში. სალამე მოედნებზე ლამის დაყოვნება მოხდება სტაბილიზაციის მიზნით, მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, რათა ბუნებრივი აერაციის პირობებში მოხდეს ლამის სტაბილიზირება, ხოლო დასტაბილიზირებული ლამი განთავსდება დახურულ შენობაში, როგორც ეს გზშ-ის ანგარიშშია მოცემული. შესაბამისად ამ ნაწილში, კორექტირების შეტანა არ მოხდა. |
| 5. | გზშ-ის ანგარიშში 10.1 ცხრილის დასათაურება - „რეაგირება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N35 (12.07.2022) სკოპინგის დასკვნით“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან N35 სკოპინგის დასკვნა გაცემულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის მე-10 თავი |

| | | |
|---|---|---|
| 6. | ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცლის მე-2 დანართიდან ამოსაღებია მე-2 პუნქტი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ზდჩ ნორმების პროექტის სატიტულო გვერდი. |